საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# ბრძანება N 01-02/143

ქ. ბათუმი

21 ივნისი 2022 წელი

ბსუ-ს მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,საინჟინრო კომპიუტერული გრაფიკა AutoCad-1 (2d LT)" მსმენელთა მიღების გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი"-ს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 5 ოქტომბრის N02 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების კოორდინატორების დანიშვნისა და საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 11 ოქტომბრის №01-02/171 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს 2022 წლის 12 მაისის სხდომის №20-19/01 ოქმის, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების ,,საინჟინრო კომპიუტერული გრაფიკა AutoCad-1 (2d LT)" და ,,საინჟინრო კომპიუტერული გრაფიკა AutoCad -2 (3D მოდელირება)" დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 30 მაისის N01-02/122 ბრძანების და ბსუ-ს უწყვეტი განათლების მიმართულებით პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების კოორდინატორის, ასისტენტ-პროფესორ მამუკა გოგელიას 2022 წლის 20 ივნისის N676768 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს მსმენელთა მიღება ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,საინჟინრო კომპიუტერული გრაფიკა AutoCad-1 (2d LT)" წინამდებარე ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად.
2. მოკლევადიან პროგრამაზე სწავლის მსურველთა რეგისტრაცია განხორციელდეს **2022 წლის 21 ივნისიდან 23 ივნისის ჩათვლით,** 11:00-დან 16:00 საათამდე და ხელშეკრულების გაფორმებისა და პირადი საქმის გახსნის მიზნით ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ადმინისტრაციაში (ბსუ-ს N6 კორპუსი - ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. N15, მე-3 სართული, ოთახი N303) წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) **განცხადება** (თუ აპლიკანტი ქმედუუნაროა/შეზღუდულქმედუნარიანია, განცხადება უნდა წარმოადგინოს მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა);

**ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი** (ქმედუუნარო/ შეზღუდულქმედუნარიანი პირის შემთხვევაში ასევე მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობა და უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი - პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირის დაბადების მოწმობა ან მეურვეობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს განცხადების წარმოდგენაზე და ხელშეკრულების გაფორმებაზე უფლებამოსილებას);

**გ) სწავლის საფასურის გადახდის ქვითარი.**

3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში - ,,განცხადებები'' და ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი'') და გამოქვეყნდეს ბსუ-ს ფაკულტეტებსა და საქმისწარმოების სამსახურთან (კანცელარია) არსებულ საინფორმაციო დაფებზე.
4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ფაკულტეტებს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორი, პროფესორი მერაბ ხალვაში

,,ბსუ-ს მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,საინჟინრო კომპიუტერული გრაფიკა AutoCad-1 (2d LT)“ მსმენელთა მიღების გამოცხადების შესახებ“
ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 21 ივნისი N 01-02/143 ბრძანების დანართი

N1

| N | მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | სწავლების ხანგრძლივობა (კვირეებში) | სწავლების ხანგრძლივობა (საათებში) | მისაღები მსმენელების რაოდენობა | სწავლის დაწყების თარიღი | სწავლის დასრულების თარიღი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ,,საინჟინრო კომპიუტერული გრაფიკა AutoCad-1 (2d LT)“ | 4 | 40 | 15 | 25.06.2022 | 17.07.2022 |